

8 09  
14


# გახტე



№ 2

ყოველ-კვირული სალუტერატურო კარიკატურებიანი ჟურნალი

№ 2



# ო ზ ო ლ ი

ქუჩაში ვნახე ვინმე ობოლი,  
აქო ძინძებში ვამხვეუელი;  
ხელში ეჭირა ზურის ნატეხი  
და რაღაც კიდევ ძველი რვეულია.

მწარედ სტირდა, ცრემლებსა ღვრიდა,  
სმა-ჭამის ანა აკანდებოდა;  
გაღუჯებოდა სახე სიცილით,  
მაცრამ ანაგის ებრალებოდა.

მიუახლოვდა ერთი უმწიფილი  
და გამოგვითხა მას სახელ-გვარი,  
მაცრამ ვერ უთხრა, რადგან სტირდა,  
ჩამოსდიოდა ცრემლებთა ღვარი.

ნაცვლად გადასტა თვისი რვეული,  
რომ წაკითხა შიგ სტრაქონები  
და იქ გაგეო თუ რისთვისაა  
იგი უმწიფოთ მიტოვებულია?!

აი რას სწერდნენ: „არ უავს მშობლები,  
არც აქვს ბინა, თავ-შესაფარი;  
უგელას იმას ვთხოვთ, რომ შექროთ  
და მისცეთ ობოლს ძინა სასსარი“.

მას მიემატა კიდევ მეორე,  
ტუტოვას სული, გიგოს თამარი,  
რომელმაც ჯაბეს მოიხსია ხელი  
და შაწოდა ტანჯულს ქანჭარი.

შემდეგ მიბაძეს დანარჩენებმაც  
ადმოუჩინეს ობოლს წყალობა,  
რითაც განარდა ბავშვი, საბრალო,  
ტირილის ნაცვლად იწყო გალობა.

ასე კარგია ძე და ასული,  
რომელსაც სტავია სხვაზეც გულია;  
თორემ ისეთი, წყალ-წადებული,  
ხომ თავისთვისაც დაკარგულია!?

ა—ტი.

## ფოთელ შფოთელებს

„აწ სოფელში უარესი  
ჭირი ჭირსა მიმისართა,  
არ დასჯერდა ბედი ჩემი  
მათ ზატოყთა მრავალგვართა“;  
კვლავცა მიმცა „საკრიტიკოდ“  
ფენიქს-შუბ-იქს-რავანსთა,  
სიტუვა ხშირთა, ნამუს ძვართა  
გმირთა ძნელად სარმართა,  
სიბერის უამს მე ეს სენი  
ერთობ აფი დაშემართა.

კოშკის ვიხე ეზომ მადლის  
ქურდნი ადვილად სწვდებიან.

მუნ „მეგობრები“ სან და სან  
შემოვლენ ჩემთან სხდებიან.  
ზირში მაქებენ, ზირს უკან  
ლანძღვის ყუმიანად სქდებიან.  
ისაქნ ისურვან, მშვილდსა კი  
ჭმ-ღვინ, თვითც იმალებიან.  
არ ვიცი რისთვის გამწირეს  
და ან რას შემართლებიან?!

ნიკო.

# ლ ა ხ ტ ი

„ლახტი“ მიჭირავს მარჯვნივ  
არვის ვეგონო გმირია,  
მსურს ამით გამოვაქვეყნო  
ყოველი გასაჭირია!

განცხრომის შვილთ არ ეამის  
ამისი გემო-ფერია,  
რადგან წინ წავა ერთგვარი  
დაბრავებული ერია!

„ლახტია“ მსოფლდ ბეჩავთა  
ამაღლებული ხმისაა,  
სულთამსუთავი მტერისა,  
სასსარი სიტუვის თქმისაა!

არგან დამითმო ადგილი,  
მეთქვა რამ ჩემი ჭირია,  
ანა ვარ სახელგანთა  
მიტომ ამიკრეს ზირია!

არცა ვარ მონათესავე  
მათ-მადლ ბრწინვანსა,  
არც მინატრია დიდება  
არც ვარ მონატრე ქებისა.

„ლახტია“ ჩემი ნუგეში  
ამან გამისნა ზირია,  
მსურს ამით გამოვაქვეყნო  
ყოველი გასაჭირია.

გ. ძამუკავი

## პატარა ფელეტონი

### არჩივნები.

ჩვენი ქალაქის მართველობა რა-  
ღაც საარჩევნო ყუთად გადაიქცა.  
არჩევანი, არჩევანი და არჩევანი.  
ირჩევენ წევრებს, სხვა და სხვა კო-  
მისიებს, საყარბოს დირექტორს, ქალა-  
ქის მდივანს და სხვა.

როდესაც ქალაქის გამგეობაში  
დანიშნულია მეტად საჭირ-ბოროტო  
და დიდ მნიშვნელოვანი საქმე, საბ-  
ჭოს დარბაზი ცალკეა, ქუდი რომ  
შეუგდო ხმოსანს დარბაზში, გამო-  
სატანად არ შევა.

როცა კი ვისმეს ირჩევენ ახალ  
თანამდებობაზე, დარბაზი სავსეა ხმო-  
სნებითა და ქანდარა კიდევ ვარეშე  
მაყურებლებით.

არჩევნები — ამით იწყება ჩვენი ქა-  
ლაქის გამგეობის მოქმედება და ამი-  
თვე თავდება.

გამოირკვა, რომ ქალაქის გამგე-  
ობას ფული არა ჰყოფნის. გასავა-  
ლი გაცილებით სჭარბობს შემოსა-  
ვალს. ყოველ წლივ ვალი ედება ქა-  
ლაქს, იზრდება ეს ვალი, როგორც  
„მელქუას მუცელი“.

ეს გამოირკვა ქალაქის ხარჯთ-  
აღრიცხვის გარჩევის დროს.

ქალაქის გამგეობას წარბიცი არ  
შეუბრაია.

ვალი იზრდება.

მერე რა ჩვენი საქმეა... აირჩიეთ  
კომისია და დაავალეთ გამოსძებნოს  
საშუალება ვალების გადახდისათვის.  
თავში ქვა იხალოს...

აირჩიეს კომისია და უთხრეს:

— თავში ქვა იხალებო. მაში რის  
კომისია ხარ, თუ ვალის გადახდას  
ვერ მოახერხებ.

\* \*

ქალაქის მდივანს ჯაბარს მობეზრ-  
და მდივნობა.

მართალია, ბევრი საქმე არაფერი  
ჰქონდა. მაგრამ რაცა ჰქონდა, იმის  
გაკეთებაც ეზარებოდა.

საბჭოს კრების დროს გამგეობის  
წევრები და ხმოსნები ლაპარაკით  
ერთობოდნენ და ჯაბარს კი მათი  
ნალაპარაკევი უნდა ჩაეწერა.

— ვერაფერი სასიამოვნო საქმეაო,  
გადასწყვიტა ჯაბარმა. მეც ვიცი  
ლაპარაკი. მეც მექავება ენა. ვარდა  
ამისა გამგეობის წევრს მეტი ჯამა-  
ვირი აქვს, და აბა მეტი ლუკმა ვის  
გადაუგდიაო.

ამ ფიქრში რომ ბძანდებოდა ჯა-  
ბარი, გამგეობას რაღაც სენი დაე-  
რიო.

ქალაქის თავი ავად გახდა. გამგეობის წევრები - თავადები არლუთიანელები ავად გახდნენ და საზღვარ გარედ წავიდნენ. ჟურულიც უქეიფოდ შეიქმნა და დარჩა გამგეობა უგამგეობოთ.

ჯაბარს ბედმა გაუღიმა და დროებით მიანდევს გამგეობის წევრობა. იგემა წევრობა ჯაბარმა და წევრობის საღერდელი უფრო აქმალა.

თავადი არლუთიანიც რომ საყასბო დირექტორად აირჩიეს, ჯაბარმა სთქვა:

— არიქა, ეხლა კი მეშველაო. დაიდგა ყუთი და კენჭი იყარა.

მართალია, ჯაბარს მეტოქე გამოუჩნდა, — ექიმი ფიშერი, მაგრამ ჯაბარმა გაიმარჯვა და მიზანს მიღწია: აირჩიეს გამგეობის წევრად. ეხლა ჯაბარი ტრაბახობს:

— გახლავართ ბიჭი. მოიცათ, თუ როდისმე ქალაქის თავობაც არ ჩავიგდე ხელში.

გამგეობის სხვა მოხელენიც ჯაბარზე ნაკლებად არ არიან გამგეობის წევრობის მოტრფილენი. მათ შორის არც ერთი არ აღმოჩნდა მდივნობის მსუველი.

— აბა ვის გინდათ მდივნობა? — ეკითხებოდა მოხელეებს გამგეობა.

— აჰ! მდივნობა რა ბედანაა, — უბასუხეს გამგეობის მოხელეებმა. ჩვენ გამგეობის წევრობა გვინდა.

შეიქმნა მთელ ქალაქში მდივნობის მსურველის ძებნა.

ექებეს და ვერ იპოვეს.

ქალაქის საბჭო დარჩა უმდივნოთ.

ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა საბჭო უმდივნოთ, „ტიფლისკი ლისტოკის“ აღაპატრონი ხაჩატურა არ დახმარებოდა ქლას.

მივიდა ქალაქის გამგეობაში და მოახსენა:

— თქვენ მდივანი არა გყავთ. და მე კი საუკეთესო მდივანი მყავს. ჯაბარზე უფრო ზანტი და ზარმაცია. სრულებით არაფერს აკეთებს. ისეთი დინჯი და წყნარია, რომ ყრუ და მუნჯი ეგონება კაცს. თუმცა ენაც აბია და ყურებიც ასხია. გვარად სტავროვსკი გახლავთ.

ეს გვარი ცოტა არ იყოს არ ესიამოვნა გამგეობას, მაგრამ მეტი რა გზა იყო. სამაგიეროთ, ამ სტავროვსკის იშვიათმა ღირსებებმა მოხიბლა გამგეობა. უკეთესი მდივანი გავიგონილა? ჯაბარზე ზანტი და ზარმაცია...

აირჩიეს სტავროვსკი.

აი, ეს გახლავსთ ჩვენში ჟურნალისტობა...

საფრანგეთის ჟურნალისტი პიშონი ერთხელ მინისტრად აირჩიეს. მერე სამსახურიდგან გადადგა და ისევ გაზეთის შრომას დაუბრუნდა.

მინისტრად ნამყოფი პიშონი ეხლა პარიზის გაზეთის გამგე-რედაქტორია.

არა ვგევართ საფრანგეთის ჟურნალისტებს.

იქ მინისტრი ჟურნალისტად ხდებდა. აქ კი ჟურნალისტები ქალაქის საბჭოში მირბიან მდივნათ.

აფსუს ჟურნალისტობა.

\* \*

ახალ კლუბის დარბაზშიაც გაჩაღდა არჩევნები.

არჩევნებს დიდი აყალ-მაყალი მიუძღვოდა. თურმე ნუ იტყვი, კლუბისთანა მოსაგები საქმე ჩვენში სხვა არ მოიძებნება.

კლუბს წელიწადში 160,000 მანეთზე მეტი ჰქონია.

ასეთი შემოსავალი ზოგ ქალაქებსაც კი ენატრება.

ჩვენ ქალაქს ორ ნახევარი მილიონი მანეთი აქვს. მაგრამ არა ყოფნის.

ახალი კლუბის მამასახლისები-კი უფრო თავდაბალი ხალხი ყოფილა. რაც მოუგია ახალ კლუბს სულ დაუხარჯავს

კლუბის მამასახლისები მისდევნენ ახალ მოძღვრებას;

„სმა-ჰამა დიდად სავარგი, დება რა სავარგულია.

რასაცა შევქამთ—ჩვენია, რაც არა — დაკარგულია“.

მამასახლისებს არაფერი დაუკარგავთ.

წარმოუდგინეს კლუბის წევრთა კრებას ანგარიში:

შემოვიდა გასულ წელს—ამდენი. დაიხარჯა გასულ წელს—ამდენი. კვლავ წარუდგინეს კრებას ამ წლის ხარჯთ-ალრისხვა:

უნდა შემოვიდეს წელს—ამდენი. უნდა დაიხარჯოს ამდენივეო.

კრებას ასეთი ბუჭვალტერია არ მოეწონა, და ხარჯებზე ხელ-გაშლილი მამასახლისები კლუბისა გააშეკენჭეს.

რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

**შავგვრემანი.**

**კ ე ლ რ ე ზ ა**

შემიბრაღე, — გამიგონე, ტურფავ, ეშხით რაკი დამწვი! ნება მომეც მხოლოდ ერთხელ გადაგიკოცნო შენი ლაწვი!..

შემიბრაღე, შემიბრაღე!.. იქონიე ვნების გული... ერთხელ მაინც სიცოხლეში მანეტარე დატანჯული!..

**ი. მომავალი შეილა**

**ფიქრთ მოკავში.**

ჩამოზნელდა ჩემთვის ზეცა, მზემ პირბადე გადიფარა, დღის სიმკაცრე უშალ მეცა და სევდები მომაყარა!.

ვეზეთქები ბედის ტალღას, მოსვენება ვერსად ვპოვე, ვერა ვხედავ ბედით შევბას, ბრძოლის ველიც მივატოვე.

ჩავიკარგე ფიქრთ მორევში, უძღვრობამ დამიშონა, და დაეძრწი და ვიმეორებ: — „ღმერთო, იხსენ შენი მონა“!

**პ. კოშორიძე**

**ქიზიუალბის საუბარი**

- გამარჯობა, გიორგი!
- გაგიმარჯოს ღმერთმა სანდრო.
- საით მიეშურები?
- ბოდბის-ხევში კრებაა და იქითკენ მივდივარ.
- რის შესახებ არის, ეგ კრება?
- ნუ თუ არ იცი კაცო! აი,

საამხანაგო ღუქანს რომ აარსებენ, იმის შესახებ არის.

— ჰოო!!! ეხლა კი მივხვდი. გახსომ მე და შენ რომ ერთად ვიყავით მარიაშობისთვის, იმის შესახებ?

— დიახ, სწორედ იმის შესახებ.

— კაცო! რა დაგემართათ, აქამდის რით ვერ გახსენით?

— სუყველაფერი მოწესრიგებულია, მხოლოდ დღეს ნუსხა უნდა შეადგინონ თბილისში გასაგზავნად.

— ერთი ეს მითხარი, საქონელი რით უნდა მოიტანონ თბილისიდან, ფურგუნებით თუ რკინის გზით, ჰა?

— ჩემის აზრით, რკინის გზით, რომ არ გაფუქდეს.

— ეე... შეილოსა, სანამ თქვენ რკინის გზას ეღირსებით, მერე საქონელს მოიტანთ, ღუქანს გახსნით, ჩვენ ვაქტრები ტყავს გაგვაძრობენ და მაშინ რაღათ გვინდა თქვენი ღუქანი? ნათქვამია: „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“.

— რას იზამ, ჩემო ძმაო, ჩვენც უფროსებმა გაგვაწყალეს, თორემ აქამდის გაჩაღებული ვაქრობა გვექნებოდა.

— ვაი, თუ ისე მოგვივიდეს, როგორც მაჩხანელებს? დეპო გახსნეს და მერე ორ კაცს დაულოცეს, თითონ ი ხახა მშრალი დარჩნენ, ეხლა ბევრს იცემენ თავში, მაგრამ გვიანდაა, წარსულს საქმეს აღარ ეშველება-რა.

— ნათქვამია, — „ცდა ბედის მონახევრეაო, — ჩვენც ვეცდებით. რომ კარგათ წავიყვანოთ საქმე და მერე კი ღმერთმა იცის.“

— აბა თქვენ იცით როგორ წაიყვანთ საქმეს, მშვიდობით.

— გაგიმარჯოს!..

ხისრიპილი.

### სურვილი

ანამც მქნა ვერცხლის ფილა, შემსძვდეს — მეგობრებოდე, ანამც მქნა ველის ყვავილი, ზედ გულზე — დაგაღწებოდეს...  
ხილხური

სურვილი რჩება სურვილად, თავი, ვერ გამოიტანია...  
ვერ მივადწიე ბიდაქსა, ვერც გადავლახე მანია...  
ღამაზო, შენით გოტნებობ...  
რაქნა ვერ მოვკალ წუგრფიდი...  
მინდა რომ ძღვევით შეგამკო... —  
ღურვილად რჩება სურვილი...  
გ. ლეონიძე.



## სენა კუშკინის ბაღში

ბაღუსტა.

ყური მიგდეთ, გეოჯან, გითხრათ ჩემი ბედია, რეები არ მინახავს რა არ გადამხედია!..  
სულ პატარა ვიყავი დედას დავრჩი ობლათა, საწვრიმლო გავხსენი მიყრუებულ სოფლათა. ქალაქიდან მიმქონდა სულ დამპალი ჩითები, ბუზივით მეხვეოდნენ სოფლის გოგო-ბიჭები. ხორბალს ეზიდებოდნენ ჩემთან დედა-კაცები, იპარავდნენ სახლიდან ვერ იგებდნენ კაცები. კარგად წავიდა საქმე, გაიზარდა ღუქანი, თუ კაცს ქუა ჰქონია სოფელია სუქანი.

რამდენიც გინდა სთაღე მოხერხებით წნოითა, ტბილი სიტყვა იხმარე არ ასტეხო შფოთია. დე, რაც გინდა გითხრან ყველას თავი დაუკარ, ჩოთქს გაჰკარ და გამოჰკარ ანგარიში ჩაუკარ. ბევრი რამ შეუძლიან მოხერხებულ გონებას, „ვრაცებს“ თუ მიეფერე ჩამოართმევ ქონებას.

ტბილი სიტყვათ გეოჯან მოვიხვეტე სახელი, ვენახები ვიყიდე და მეც გავხდი კახელი ფულს ფული მიემატა, მეც შევიქენ მდიდარი, ყველა მე მკითხულობდა. „ბაღუსტ ალა ვინ არი!“ მოდიოდნენ შორიდან, რომ ესესნათ ფულები და შემდეგ თუნდა ყველასთვის ამომეძრო სულები. ჩემ ხელთ იყო სოფელი რაც მინდოდა ვშვრებოდი, ეშმაკობით და ხერხით ყველაფერსა ვხდებოდი. მაგრამ ერთი ღრეობა არვის არ შერჩება, თუ ბედმა გილალატა ხვალ პური არ გვექნება. ერთობა მოიგონეს, ასტყდა აყალ-მაყალი სუყველა შიშს მიეცა ვაქარი და ბაყალი. ცოცხლათვე იტაცებდნენ და მიჰყავდათ ტყეშია, მეცა მთხოვეს ფულები ჩუთვალე ხელშია. ამას არ დამაჯერეს, კიდევ მთხოვეს ფულები, შემომექრნენ სახლშია დაგვიხეთქეს გულეები. შიშისაგან გეოჯან

გარეთ ვერ გავდიოდი,  
 ამერია დავთარი,  
 რეებს არ ჩავდიოდი!..  
 შევწყვიტევი ვაჭრობა  
 გულში სხვა გავიტარე,  
 ძველ-ძულეები ჩავიცვი  
 ქალაქს გამოვიპარე.  
 ფლასებში გამოვიკარ  
 ვექსილები და ფული,  
 ტფილისში რომ ჩამოველ  
 ძლივ მოვიბრუნე სული.  
 აქ ვიყიდე სახლები  
 როგვეწყვიე ხელათა,  
 „უპრადაში“ მაშინვე  
 წარმადგინეს „ჩლენათა“  
 კახეთს რკინის გზა გაჰყავთ,  
 ხედავ რა ამბებია?  
 იქ ვაივლის „პოეზია“  
 სადაც ჩემი ზვრებია!..

პეტრუზა.

**დღემანდელი ფარ-ხმალი**

მურაღი ენა გესლანია,  
 ფეიღობა და ძმით გასუიდეგ;  
 ათასგვარი შური; მტრობა,  
 ჭკობანი გუდის ზიდეგ.  
 გაუძღომეღ მუღღისათვის,  
 გრძობე გაცეღას სინდისის;  
 ქვეუნის საქმე ჩინად დიდეს,  
 ბოთელ დგინოზე გმობა ღვთისა...  
 აი, ჩვენა დღევანდელი  
 საბრძოლველი ფარი-ხმაღი,  
 ვისაც შეგწვეთ იმამცეთ  
 შეათურსეთ მომავალი...  
 მაგრამ ფუი ასეთ გმირებს,  
 ფუი, ასეთ იარჯისა,  
 ეს დაგასვამთ სამუღამით  
 სამარცხვინო, გარუნის დაღსა...

იხ. ტაფაძე

**ელეგია**

გხედავ ირგვლივ, თითქმის უგულა,  
 რომ თვაღმაცრობს და სულ ფეიღობს;  
 ძმა ძმისა მტრობს ადარ იტანს,  
 მამა შეიღას ვეღარ ინდობს!..  
 შეიღამა მამა ტუვიით მოჭკლას,  
 მამამ შეიღი დასამარა,  
 ძმამ თვისი ძმა დაწით დაჰკლას,  
 ისეც ტანჯვა არა კმარას...  
 ზიარში უგულა ფეიღი არის,  
 ზურგს უგან კი მესამარე;

უგულა არსი შეიღვალა,  
 განსჯაფურდა არე-მარე,  
 დუხჭიარა დღეს ცსოვრება,  
 მართლის მოქმელი იტანჯება,  
 იმას ჩაკრავს ისეგ თვის ძმა,  
 სულს სამშეიდე გვარგება!..

ნეტავ, რადის მოკლება  
 ამ ჩვენ სინცხვილს, დმერთო, ბოღო!..  
 ან თუ ასეთ უდიარს შეიღებს  
 კიდევ ბევრს შობ შენ სამშობლო?

გ. ევდემონი.

**თ ა თ უ ზ ა**

(სტუდენტის წამობი)

ბიძაჩემი—დედიჩემის ძმა—შვიდი  
 ვერსის მანძილზე სცხოვრობდი ჩვე-  
 ნი სოფლიდან. აგერ-აგერ სამოცი  
 წლისა იქნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ  
 საკმაოდ ჯანსაღი იყო. საცხოვრე-  
 ბელი საკმაო ჰქონდა, გარეგნობი-  
 თაც ბედს ვერ დაემღერებოდა, მაგ-  
 რამ ცოლი არ შეერთო. მახსოვს,  
 რამდენჯერმე ვკითხე დედაჩემს: ბი-  
 ძია სვიმონმა ცოლი რატომ არ შე-  
 ერთო—მეთქი, მაგრამ დედაჩემმა  
 არ იცოდა

ბიძაჩემი თავის სოფელს არ სცი-  
 ლდებოდა, მხოლოდ წელიწადში  
 ერთხელ-ორჯერ დედაჩემთან ჩამო-  
 ვიდოდა დილით და საღამოზე ისევ  
 სახლს მიაშურებდა.

გადააკვდებოდა დედაჩემი: უცხო-  
 სთან ხომ არა ხარ, ერთი ვახშამი  
 რომ შექამო შენი დის სახლში, რა  
 ცოდვა იქნებაო, მაგრამ არასფრის  
 ვულისათვის არ მოიცილიდა,—ხან  
 რას მოიმიზეზებდა, ხან რას.

თბილისი საით იყო, არც კი იცო-  
 და. ერთხელ ისეთი საქმე შეხვედრო-  
 და, რომ უსათუოდ ქუთაისში უნდა  
 ჩასულიყო. დაძრულიყო თუ არა  
 მატარებელი, ბიძაჩემს მოსვენება დაჰ-  
 კარგოდა: ეს ეშმაკის მოგონილი სად-  
 მე გადაეჩვენებდა და კისერს მომტეხავსო.  
 გადახტომას აპირებდა თურმე, რომ  
 არ დაეკავებიათ. გაჩერდა თუ არა  
 მატარებელი პირველ სადგურზე, აღა-  
 რაფრის გულისათვის აღარ მოეცადა  
 ბიძაჩემს: ექირავა ცხენი და მთელი  
 ორმოცდაათი ვერსი ქუთაისამდე

ცხენით გაველო, იქიდანაც ცხენით  
 დაბრუნებულიყო.

ის იყო და ის. მას დღეს აქეთ  
 აღარც მატარებელი და აღარც ქუ-  
 თაისი ბიძაჩემს თვალით აღარ დაუ-  
 ნახავს.

ერთი ზნე სჭირდა: კოცნა არ  
 უყვარდა. ხელის ჩამორთმევისთანავე  
 მიიძახებდა მნახველს: არ მაკოცოო  
 მამა-ჩემი ხუმარა კაცი იყო. ერთხელ  
 ბიძა-ჩემი გვწვევოდა. მოეკრა თუ  
 არა მამა-ჩემს შორიდან თვალი, შენი  
 წიხლი დამკარი თუ შიგ ტუჩებში  
 არ გაკოცოვო, გულში ეთქვა, და  
 მართლაც ხელის ჩამორთმევისთანავე  
 რამდენჯერმე ეკოცნა.

— დმერთმა კი შეგარცხვინა და  
 დაგესხა თავსლაფი, დაეწყო ყვირი-  
 ლი ბიძა-ჩემს, და თან ფურთხვა და  
 ტუჩების წმენდა, მამა-ჩემე კი გადა  
 ბრუნებულიყო და სიცილით კვდე-  
 ბოდა.

მე ძალიან ვუყვარდი ბიძა-ჩემს.  
 ჩამოვიდოდი თუ არა ქუთაისიდან  
 სოფელში, მაშინათვე ვეწვეოდი, შე-  
 მსვამდა ცხენზე უკან, ამიყვანდა სა-  
 ხლში და მთელს ორკვირას აღარ  
 გამომომიშვებდა. ძალიან მანებივ-  
 რებდა, მაგრამ არ მიყვარდა იმას-  
 თან ყოფნა: ბავშვები არ ჰყავდა;  
 მეზობლათ ხუთიოდე გლეხი სცხოვ-  
 რობდა, და ჩემი ტოლები არც იქ  
 იყვნენ. ამის გამო მალე მომეწყინე-  
 ბოდა ხოლმე.

როდესაც გავიზარდე, ბიძა-ჩემთან  
 ყოფნა ძალიან შემიყვარდა. ის მთა-  
 ში იდგა. თითქმის სამი მხრიდან გა-  
 უტეხელი, უღრანი ტყე ერთკა,  
 ჩრდილოეთით დაკეპული მინდვრე-  
 ბი და ჭალები იყვნენ გადაჭიმული.  
 შემდეგ შორს თანდათან მალღდე-  
 ბოდა მდებარეობა და ცის ტატო-  
 ბზე მუდმივი თოვლით დაფარული  
 მწვერვალები მოჩანდნენ. საუცხოო  
 სურათი იშლებოდა თვალ წინ და  
 მე მიყვარს ეს სურათი. ამასთან ერ-  
 თათ ბიძა-ჩემის სახლში სრული სი-  
 წყნარე და მყუდროება ჰსუფევს.  
 არავინ არ გაწუხებს, მოშორებუ-  
 ლი, მოწყვეტილი ხარ ყოველის-

ფერს, შუაგულ ბუნებაში სცხოვრობ. და საუცხოვო სურათითა სტკბები.

როდესაც მყრალი, ნისლიანი პერბურგის შემდეგ ბიძა-ჩემთან გავატარებ ხოლმე მთელ თვეს, სულით და ხორცილთ ვისვენებ.

ნამეტანი უყვარს ბიძა-ჩემს ასტრონომია. არც დიდი ქალაქის ცხოვრება, არც პოლიტიკა მას არ აინტერესებს. თავიდან ფეხებამდის ძველებური აზნაურია, რომელსაც ვერას გზით ვერ დააჯერებთ, რომ გლახისა და აზნაურის სისხლი ერთნაირია. ასტრონომია კი ძალიან უყვარს. როდესაც ღამე ბალკონიდან ღამე ცთომილები დავანახვე და მათ შესახებ მოვუყევი, ბიძა-ჩემის გაოცებას და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვარსკვლავთ მრიცხველობამ იმდენად გაიტაცა, რომ პატარა ღურბინდის კი გამომაწერია.

შარშან გაზაფხულზე მკათათვეში ბიძა-ჩემს ვესტუმრე, საკმაოდ დაღამებული იყო, მე რომ მივედი, და ისე შეგვედი სახლში, რომ არავის არ გაუგია.

ბიძა-ჩემის სიხარული აუწერელი იყო. თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა; სტუდენტის ტანისაღოსში ძალიან მოვეწონე; მარწმუნებდა: ბაბუა-შენს ჰგავხარო. მაშინათვე დააკლევინა ინდოური, ქათამი და სამაგალითო ვახშამი ვქამეთ. ბიძა-ჩემმა პირის გემო იცოდა კარგი ქამაც უყვარდა. სასიამოვნოდ ღვინოს აყენებდა და ცივი ღვინო, ქურდიან ახლათ ამოდებული, ისე მიამა, რომ ჩარეკაზე მეტი დავლიე და მომეკიდა კიდევ. ბიძა-ჩემიც თითქმის შექოიკდა.

— ახლა შენ დაღლილი იქნები და აღარ შეგაწუხებ. ხვალ კი ჩემი დაკვირვება უნდა შეგატყობინო; ცისკრის კარსკვლავზე და იუპიტერზე მე ისეთი რამ აღმოვაჩინე, რომ ჩემის მოკლე ქუჩით ქალაქები უნდა იყოს— მითხრა ნავახშმევს ბიძა-ჩემმა იმდენად ნასიამოვნები იყო, რომ თავისი საწოლი ოთახი და ლოგინიც კი დამითმო და თავისთვინ ზალაში გააშლევინა.

გავიხადე ტანისამოსი, ჩავგორდი ლოგინში და დავიწყე აქეთ-იქით ცქერა. ჩემი ოთახის ერთი კარი ბალკონზე გამოდიოდა, მეორე უკან ეზოში. მალე შემომესმა ბიძა-ჩემის მაღიანი ხვრინვა. მეც გავაქრე სანთელი და დასაძინებლად გავვიბრე. რა კარგია ახლა ღამეში გოგონა, გამიელვა გულში და ვნებამ ძარღვებში ამითამაშა. ამ დროს უკანა კარი ნელა გაიღო და მთვარის მკრთალ შუქზე შავი სურათი გამოჩნდა. ცოტა არ იყოს, შიშმა ამიტაცა. ბიძა-ჩემს ბიჭი ჰყავდა, მაგრამ ირას საჯალაბოში ეძინა და ამ დროს მაინც აქ არ შემოვიდოდა. მაშ ვინ ეშმაკი უნდა იყოს? იქნება ქურდია. ერთი ვნახოთ, ხანჯალი აქვს ხელში და შიგ გულში ცამცხოს ამ ოხერმა. ვიფიქრე, თუ დავიყვირე, ვაი თუ დამკრას რამე მეთქი. გადავსწყვიტე: თავს მივიძინარებ და, რაც უნდა, ის წაიღო მეთქი. შავმა სურათმა კარი წყნარათ მიხზურა და პირდაპირ ჩემსკენ გამოსწია. ვეღარ მოვითმინე და გავეხმაურე: ვინა ხარ მეთქი.

— მე ვარ, მე, თათია— შემომესმა ქალის დაბალი ხმა.

შომიხლოვდა და ჩამიგორდა ლოგინში.

პირველათ მე სრულებით დავიბენი. ჩემი თავი სიზმარში მეგონა. მოვისვი გვერდზე ხელი— ქალი იწვა სულგანაბული, თითქოს რაღაცას ელისო. ნეტავი ვინ არის ეს თათია, ან რა უნდა ჩემთან? იქნება, მართლა არსებობენ ქაჯები და ქალის სახით ის მომიწვა გვერდით!

— ჩემი ქმარი წისქვილზე წავიდა და მე თქვენთან წამოვედი! წამიფურხლდა ქალმა.

მივუსვ-მოვუსვი ხელი, — ნამდვილი ქალია. ბიძა-ჩემის ღამურაა უთუოთ! დაჩვეული ყოფილა და ახლაც ისა ვგნივარ სწორეთ!

ქალის სხეულის შეხებამ ამანთო, ამაყრყოლა.

— თათუშა, ჩემო თათუშა!

მოვეხვიე და დაუწყე კოცნა ტუჩებში. ლოყებზე, კისერში, ყელში.

ქალმა ნიკაპზე ხელი მომიხვა.

— როდის მოიპარსე, ბატონო, წვერი? წამიფურხლდა.

— წვერი? ჰო, მოვიპარსე მაშ, მოვიპარსე! ოოხ, ჩემო თათუშა, ჩემო თათუშა, ჩემო თათუშა! ვნება აშლილი ვეკონებოდი ჩემს თათუშას და ტუჩებს ვუწოწნიდი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი თათუშა ღამეში უნდა ყოფილიყო, კეკლუცი, კოხტა, მაგრამ მაინც მენატრებდა მისი სახის დანახვა. ასანთი მაგიდაზე იდვა— ჩემს თავთან მაგრამ, რომ ამენთო, ქალი ხომ მიცნობდა. ისეც ძლივს დავარწმუნე: აღთქმა მივეცი წმინდა გიორგის და წვერი ამიტომ მოვიპარსე მეთქი. თეთრი წვერები ბიძა-ჩემს გულ-მკერდზე ეფინა და, ათი სოფელი რომ გღჩუქებიანთ, მაინც არ მოიპარსავდა.

— კოცნა რომ არ გიყვარდა, ბატონო? წამოილაპარაკა ბევრი კოცნით მოქანცულმა და გაბრუებულმა თათუშამ, მაგრამ დავარწმუნე: აღთქმა მქონდა მიცემული ამიტომ არავის ვკოცნიდი მეთქი. არ ვიცი, რამდენს ხანს დაჰყო ჩემთან თათუშამ. რამდენჯერმე კი დააპირა წასვლა, მაგრამ არ გაუშვი.

— ამისთან ხასიათზე მე არ მახსოვხარ, ბატონოვო, მარწმუნებდა.

— როგორც კი ჩემ ქმარს გარეთ დავიგულე, მაშინათვე მოვალ, გამომიცხადა თათუშამ გამოთხოვებისას.

სიამოვნებით დამტკბარსა და მოქანცულს მალე ჩამეძინა და დილაამდე ფეხი არ გამინძრევია: მკვდარსავით მეძინა.

გავახილვე თუ არა თვალები, თათუშა, ჩემი მშვენიერი თათუშა წარმომიდგა თვალ წინ და სასიამოვნოდ მოგონებამ ტკბილი გრძნობანი ამიშალა.

— არა გრცხვენია, ბიჭო? ამდენი ძილი იქნება! შემოაღო კარი ბიძა-ჩემმა და მომადახა.

— ბევრი მეძინა?

— შუადღე წამოვიდა ეს ეს არის. მე შენ ახლა არაფერს არ გაქმევ. მეზობლის ქალს დავაძახებებ, თორენულებს დაგვიზადებს; რა თორენს პური იცის იმ მამაცხონებულმა მერე! რუსეთში გაზდილი კაცი ხარ, პური გეყვარება. ჩემს ბიჭს კიდევ კი გოჭი შევებრაწვიოთ თორენში

და მარანში, ქურის თავზე, უნდა ვსჯამოთ დღეს სადღოა. სადილობამდე კი ჩვენს სათბში ვავისეირნოთ.

ამასობაში ჩავიცი და პირიცი დავიბანე.

— სიკო, სიკო! ვასძახა ბიძა-ჩემმა ბიჭს; წადი, თათია გადმოიყვანე, თორწეში პური უნდა გამოგვაცხოს. იცოდე, ახლავე მოვიდეს.

თათიას გაგონებაზე ყურები ვაკვირებ.

— თათია ბევრს ჰქვია შენს მეზობლებში? ვეკითხები ბიძა-ჩემს.

— ერთად ერთს. როგორ?

— არაფერი, სახელი მომეწონა.

ექვი არ არის, ჩემი თათუშა ეს უნდა იყოს. შეუძლებელია, რომ დამეშორიდან ვინმე სხვა თათია მოსულიყოს ბიძა-ჩემთან. მინდოდა, მეკითხა, ვინ არის, ან რამდენის წლისაა მეტი, მაგრამ შევდექი, ვეღარ გავბედე. ან კი სულ ერთი არ არის? მალე მოვა და ჩემის თვალითა ვნახავ.

ეზოში დივსეირნობდი, რომ ტიშკირში სიკო გამოჩნდა; უკან შევტანისამოსა ქალი მოჰყვებოდა.

— აბა, ჩემო თათია, მოსარიდებელი სტუმარი მომივიდა, შენი თორწეულის ქება გაუგონია და არ შემარტხვინო — მიმართა ბიძა-ჩემმა. მე შევეკრთი და ქალისაკენ მივიხედე.

— ვუი, ბატონო! წამოიკივლა ქალმა, როცა ორივეს შემოგვხედა. ქვედა ტუჩებზე მარჯვენა ხელი მიიდვა. სახეზე გაცოცხება გამოეხატა; ჯერ გაფითრდა, შემდეგ წამოწითლდა.

მეც შევეკრთი. ეს ორმოცი წლის ქალი იქნებოდა, დაბალი, შავი, ნაკვავილარი, ულამაზო... არა, შეულებელია, რომ წუხელის ეს მოსულიყო ჩემთან. ჩემი თათუშა ისეთი მშვენიერი, ისეთი მიმზიდველი, ითსეთი ტკბილი იყო, ეს კი უშნო ბებერია. მართალია, ბნელოდა და მისი სახე არ დამინახავს, მაგრამ არასფრის გულისათვის არ დავიჯერებ მაინც, რომ ეს ბუნძლი დედაკაცი ნაზი თათუშა იყო.

ეს ბებერი რადას შეკრთა? რა ნახა გასაოცარი? რას წამოიკივლა? რისთვის მიიფარა ტუჩზე ხელი? რას გაფითრდა? რას გაწითლდა?.. მეც რა გულ უბრყვილო ვარ! სოფლის

დედაკაცია, არაფერი უნახავს, სტუდენტის ტანისამოსში დამინახა, უთუოდ დიდი „ჩოვონიკ“-ათ მიიღო და ამიტომ შეკრთა! რასაკვირველია, ასეა, მაშ სხვა რას გაიოცებდა? მეც კიდევ! ვილაც ბებერი ჩემ ტკბალ თათუშათ მივიღე! მართალია, მე არ დამინახავს მისი სახე, მაგრამ ვგრძნობდი, საუცხოვო ვგრძნობდი, ხელებითაც ვატყობდი, რომ ის ნაზი იყო, ახალგაზრდა. მაინც საიდან მომევიღინი ნეტა ჩემი თათუშა?

მეზობლებში მეორე თათია არ არის.

მართლა ეს ბებერი რომ იყოს წუხანდელი თათუშა? მაშინ?

მე მივიჭერი სიკოსთან.

— სიკო, მართალი მითხარ: ბიძა-ჩემს საყვარელი ჰყავს?

— მა ეს თათია ვინ არის?

— ვინ თათია?

— ვინა და ეპურს რა გვკვხობს

— რა ღეთის რისხვია! ნუ თუ ეს ბერი ჩემი თათუშა? შეუძლებელია. არ მინდა, არ მსურს.

თათუშა, ჩემო თითუშა! შენ ხომ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, ეშხიანი, ხომ? ხომ? გულმა აღარ მომიტმინა სახაბაზოში შევიჭერი.

— წუხელის შენ იყავი ჩემთან? მითხარი, მითხარი ჩქარა.

ღმერთო, როგორ გაფითრდა, როგორ შესწუხდა, როგორ დაიქყანა ის საცოდავი! ჩაიკეცა და მუხლზე მომეხვია.

— შენი მუხლების ქირიმე, დიდ ბატონს არ გააგებო, თორმე ახლო აღარ მიმიკარებს, დავიღუბები: კახასა დე ხარაზის ბაშმანკებს არის ამ სამარიობოთ შტომპირებული.

აი წყალმა კი წაგიღოს შენც, შენი კაბაც, შენი ბაშმანკებიც! მე ჩემ ნორჩ, ლამაზ თათუშას დავცე და ამას კი კაბისა და ბაშმანკების ჯაფრი აქვს!

დარეტიანებული გამოვარდი გარეთ.

— აბა, ჩემო თათია, სანამ ჩვენ დავბრუნდებოდეთ, კაი სადილი დავახვედრე და შენი პატვისცემა ჩემს კისერზე იყო.

დაუძახა ბიძა ჩემმა და გავსწიეთ სათბისაკენ.

ეჰ, ოცნებავ! რა მშვენიერი ხარ, შე ტალო, სანამ სინამდვილეთ გადაიქცეოდე! („თ.“)

ივ. გამართული.

### დეკემბერი

(„დახტის“ გარესმხანდენტისაგან) ქალ. ფოთი. აქაურ ახალგაზრდას მოდათ აქვთ შემოღებული, რომ კვირაში 9-ჯერ გამართონ ხოლმე „ვეჩრები“. ვეჩრის შინაარსი ასეთია: ვინც ვეჩრს არ დაესწრება და ფულებს კანფეტებში არ დახარჯავს, იმას კაცის სახელს არ უწოდებენ.

**იქიდანვე.** აქაური „უჩინიციები“ აფიცრებშია გართული, რუსულს ლაპარაკობენ — დავიწყებიათ ქართული.

**შეიქიდანვე.** აქაურმა ნოქრებმა ხაზინებს მოთხოვნილება წარუდგინეს, რათა მიეცეს მათ დღეში 3 საათი თავისუფლება, რომ ეს სამი საათი დღინის სმაში და არშიყობაში მოიხმარონ.

### პერის აგზავი

ვერის სასაფლაოზე თურმე დიდი კაცია, არც ძალიან „ნასპანდი“ არ ისე ზარმაცია. აბა როგორ შევაქო, ზოგი ერთის ნაცია, ზოგს ჰგონი წერილი, რაღაც პროვოკაცია! ყურშია ჩამწურხულეს: „დახვალ გარე-გარეო და ის კი აღარ იცი, მკვდარი მოიპარესო. ასი თუმანი ფული, ნაღდათ ჩაიბარესო, მკვდრების ადგილები კი, შეცვლით მოაგვარესო!“ გამიკვირდა ძალიან, ღმა ფიქრებში გავები და ვსთქვი: ამ გვარ საქმეს, ჩაიდენდნენ მამები! თურმე ამგვარ ხრიკებსა,

არ ყოფილა ხამები,  
გინახავთ თქვენ ამგვარი  
კომედია-დრამები?!

შევა.

### პროვინცია

**სამბრძოლი.** ვინაიდან ამ ბოლო  
ხინებში კარტი სიძვირე შეიქნა ამ  
ჩვენს კურთხეულს სამტრედიაში,  
წერილ ფეხა მოანტელეგენტო ნაწი-  
ლმა გამაიგონა მატარებლის ბილე-  
ტებით „ბაქარას“ თამაში. ამ ჟამათ  
გავრცელებულია თითქმის ყველა  
კუთხეში. მათ შორის ახარტიანი  
მოთამაშენი არიან: ტ—ია, ნ—ძე,  
კ—ლი, ტ—ძე და დზ—ლია. ამ  
ჯგუფს დრო გამოშვებით თანაუგრ-  
ძნობენ: პ—ლი და ლ—ვი. რო-  
გორც სტატისტიკური ცნობებიდან  
სჩანს, ეს ვაჟბატონები მოგებას არი-  
ან 22,356 მ. ნახევარი ამ მოგებისა  
გადადებულია ჯიბეგირების სასარგე-  
ბლოთ, დანარჩენი კი ტ—ძის სამი-  
კიტნოსთვის.

ამ დაბიდან ერთი გვამი დაბა მხა-  
რეში გადასვენეს, რამაც გამოიწვია  
ღირს შესანიშნავი „პროვოდი“ კა-  
ხური ღვინით გაჟღენთილმა „მოლია-  
რების“ უფროსმა 25 მ. დააჯარიმა

მეზურნეები უდროვით ზურნის აბუ-  
ტუნებაზე, რამაც ხელა შეუშალა  
გრძნობიარე სიტყვების წარმოთქმას.  
ტ—მა ცუკვის დროს მოპარუსკე  
„ბარიშნას“ ფეხი წამოკრა და წაა-  
ქცია, იატაკზე შუბლი დაკრა და  
იქვე სული დალია. საცოდამა მხო-  
ლოდ ეს სიტყვები მოასწრო: ზურნა  
და ყანწი სამარეში ჩამამყოლოთო.  
იმედია მისი უეშმაკეულისობა თა-  
ვისი ლახტით დასაფლავებაზე დაე-  
სწრება.

კოდარა.

### გასართობი

ქალაქში მომავალი ურია მცხე-  
თაში მტკვარში ჩავარდა. სოფლის  
ყმაწვილ-კაცებმა შენიშნეს და მა-  
შინვე გამოიყვანეს ნაპირას საბრალო  
ურია და გასამრჯელოდ ერთი ჩა-  
რეკა ღვინის ფასი სთხოვეს. შეშა-  
ნებულმა და წყლათ გაგულდულმა  
ურია მ თვალები გააქყატა და სინა-  
ნულით წამოიძახა: „ნეტავი გეცა-  
ლნათ, რომ ტფილისში ასრე ჩავ-  
სულიყავო გზის ფული შემრჩე-  
ბოდაო!“

ერთმა „ჯარის-კაცმა ქუჩაში მიმა-  
ვალი კარგად ჩაცმული კაცი დაა-  
პატიმრა.

— რისთვის მაპატიმრებო? — ჰკი-  
თა კაცმა.

— შენმა ამანაგებმა მოთხრეს, რომ  
შენ დემაგოგი ხარო (ხალხის მეთა-  
ური).

— დემაგოგი კი არა, მე პედაგო-  
გი ვარ. პედაგოგსა და დემაგოგს  
შორის, ძალიან დიდი განსხვავებაა.

— აბა ევრა ჩემი საქმეა? შენ  
მაინც რაღაცა გოგია ჰყოფილხარ  
და მეც იმის მეტი არა მეკითხება-  
რა, რომ საპატიმროში წავაბრძანო  
და იქ მთავრობა გაარჩევს ყველაფერს.

### 9 მარტიდან გამოდის

ფოკლეკვირეული იუმორისტული ჟურნალი

### ლ ა ხ ტ ი

მთელი წლით ღირს 2 მ. 50 კ. ნა-  
ხევარი წლით 1 მ. 25 კაპ.

წერილობი და ფულო უნდა გამოი-  
გზავნოს შემდგომს ახარისათ Тифლისь,  
Мухранская ул. № 12 Давиду Иоси-  
фовичу Мелашвिति.



თავადი. გენაცვალე დაჯან,  
მამე რამე ფუფუბო,  
შენ დაგჩნება სულ ჩემი,  
მამულები სხულები!..

მდიდარი. არაფერა არ მინდა,  
თავიდან გამეცვალე  
ხოლოკი. მაშ შე მომეუიდე  
პატონო გენაცვალე!..

ჩუბრი, ჩუბრი გენაცვალე,  
ჩემო თოჯინაო.  
უმეზ ფულთ ვეკლას ვეძლებ,  
გარეთ თუ შინაო!..